შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (10.039)

3 – 10 სექტემბერი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

კანონმდებლობა და საძოვარი

„თაღლითურ სქემას კანონი ვერ გააკონტროლებს, ამისი მექანიზმი არ არსებობს...“

დედოფლისწყაროში, ფერმერები „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის პირობებს გაეცნენ.

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრაზე, ფერმერებს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ პროგრამის პირობები გააცნეს.

სახელმწიფო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის ცოდნა, ფერმერებს საშუალებას მისცემს, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდგომ, შეძლონ პროგრამაში ჩართვა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული საძოვრების 3-წლიანი იჯარით სარგებლობა.

სახელმწიფო პროგრამა საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 6 ოქტომბერს დაამტკიცა. პროგრამის მიზანი საძოვრების რაციონალურად გამოყენება და ფერმერებისთვის გადაცემის სწორი და სამართლიანი მექანიზმის შემოღებაა. საძოვრების აუქციონის გზით იჯარით განკარგვის უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ ფერმერებს, რომლებთაც საკუთრებაში ჰყავთ მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. ერთ სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის განსაზღვრულია არანაკლებ 1 ჰა და არაუმეტეს 1.5 ჰა საძოვარი, ხოლო ერთ სულ წვრილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის - არანაკლებ 0.2 ჰა და არაუმეტეს 0.5 ჰა.

ფერმერების თქმით, ყველაზე დიდი პრობლემა, რის გამოც მეცხვარეებს საძოვრების პრობლემა უდგებათ, საძოვრების იჯარით გაცემის წესებში არსებული ნაკლოვანებებია.

შეხვედრას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროელი ფერმერები, რომლებიც თვითონ დგანან ამ პრობლემების წინაშე. როგორც მათ განაცხადეს, აუქციონის დროს ბევრი ფერმერი იყენებს ე.წ. შავ ხვრელებს და ხელს უშლიან იმ მესაქონლეებს მიწის იჯარით აღებაში, ვისაც ის რეალურად სჭირდება. ***„არიან ადამიანები, რომელთაც აქვთ ფული, მაგრამ სააუქციონო პირობებს ვერ აკმაყოფილებენ. ისინი მიმართავენ თაღლითურ სქემას, რათა იჯარით აიღონ მეტი საძოვარი, ვიდრე კანონით ეკუთვნით“*** – განაცხადეს ფერმერებმა.

თაღლითური სქემა შემდეგში მდგომარეობს-დაინტერესებული პირები სხვადასხვა ადამიანის საკუთრებაში მყოფი საქონლის იდენტიფიცირებას აკეთებინებენ სხვა ადამიანის სახელზე და მას აღებინებენ მონაწილეობას აუქციონში, ანუ, ამ სქემის წყალობით, 100 სული ცხვარი შეიძლება გახდეს 3000 ან 5000 სული. ამის შედეგად იჩაგრებიან ის ფერმერები, რომელთაც რეალურად სჭირდებათ საძოვარი.

არხილოსკალოელმა ფერმერმა **ჯონდო ბუჩუკურმა** ამიტომაც იკითხა – „საძოვრის მოთხოვნისას წარმოდგენილ დოკუმენტაციას ვინ გაუწევს მონიტორინგს?“

პასუხი ცალსახა და ფერმერებისთვის არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. თაღლითურ სქემას კანონი ვერ გააკონტროლებს, ამისი მექანიზმი არ არსებობს. ამიტომაც მოითხოვეს ფერმერებმა კანონის დახვეწა, რათა პროექტი წარმატებული და რეალურ მიზნებზე გათვლილი იყოს.

მესაქონლეები ამ პროგრამის კიდევ ერთ ნაკლოვანებაზეც ალაპარაკდნენ. ***„სამ წლიან იჯარას არანაირი აზრი არ აქვს. ვერანაირ ინვესტიციას ვერ ჩადებს ფერმერი. მე მაგალითად, ოთხასი ჰექტარი მაქვს იჯარა. 2004 წელს გაგვიუქმა სააკაშვილმა იჯარის ხელშეკრულება. ამას შედეგად ამ მიწებზე განთავსებული ფერმები ინგრევა, მე კი ქვა ქვაზე ვერ დამიდვია იმის შიშით, რომ ხვალ შეიძლება აუქციონზე დავკარგო. არადა, 30 წელზე მეტია ჩვენ ვფლობთ ამ მიწებს“*** - ამბობენ ძირძველი მეცხვარეები. მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი ოპტიმისტურადაა განწყობილი ამ კანონის მიმართ და ამბობს, რომ **„2010 წლამდე შეიძლებოდა საძოვრის ყიდვა, იმის მერე აიკრძალა, ამიტომ, იჯარა არის ერთადერთი გამოსავალი, იურიდიულ მართვაში მოექცეს მიწა.**

3 წლიანი იჯარა ცოტაა, კი ბატონო, მაგრამ ესაა სატესტოდ, 3 წლის შემდეგ კიდევ უნდა შეიცვალოს კანონმდებლობა. ჩემი აზრია, რომ მინიმუმ 25 წლიანი იჯარა უნდა გაფორმდეს“.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სოფლის საძოვარსაც, რომელსაც მოსახლეობა იყენებს. „სოფლის საძოვარსაც უნდა ჰყავდეს თავისი პატრონი. ამისთვის საჭიროა შეიქმნას ამხანაგობები, რომელიც გაუადვილებს სოფლის მოსახლეობას, იოლად შეძლოს საძოვრის მართვა და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა.

დღეის მდგომარეობით, ოთხ ეტაპად, უკვე გამოქვეყნებულია 362 ერთეული აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრის მონაცემები. ამჟამად, ხელმისაწვდომია და განაცხადების მიღება წარმოებს 105 მათგანზე.

ინგა შიოლაშვილი

კახეთს ახალი რწმუნებული ჰყავს

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულად გიორგი ალადაშვილი დაინიშნა. ახალ გუბერნატორთან შეხვედრა დღეს პრემიერ-მინისტრმა გამართა. შეხვედრაზე რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილეს. კახეთის მხარის ახალი რწმუნებული პროფესიით სამართალმცოდნეა. მას მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიღებული აქვს ჰარვარდის უნივერსიტეტში.

გიორგი ალადაშვილი იკავებდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში. მთავრობის მეთაურმა კახეთის ყოფილ გუბერნატორს ირაკლი შიოშვილს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და ახალ გუბერნატორს წარმატებები უსურვა. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და კახეთის ყოფილი გუბერნატორი ირაკლი შიოშვილი ესწრებოდნენ.

პოსტის დატოვების შესახებ განცხადება ირაკლი შიოშვილმა სოციალური ქსელით გაავრცელა: „ჩემო კახელებო, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობა.

გადავდივარ ახალ სფეროში, რა თქმა უნდა, ვრჩები სახელისუფლებო გუნდში და ჩვენი ქვეყნის სამსახურში. კახეთი ჩემთვის მშობლიური სახლია. ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტში, მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ 6 წლის წინ დავბრუნებულიყავი თელავში და დავინიშნე გუბერნატორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე, მას შემდეგ, გავხდი სახელმწიფო რწმუნებული. განვლილ 6 წელს ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ხანას დავარქმევ, რადგან, როგორც თელაველ, კახელ კაცს, მერგო პატივი, მემსახურა ჩემი კახელებისათვის და მნიშვნელოვანი წვლილი შემეტანა ჩვენი კუთხის განვითარების საქმეში.

ჩემი, როგორც რეგიონის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა კოვიდპანდემიის დროს მოხდა. 24 საათიან რეჟიმში პანდემიის მართვისას, ჩემი და ამერიკაში მოღვაწე თელაველი ექიმის, დავით მრელაშვილის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, კახეთში დავხერგეთ ტელემედიცინა, რაც ჯანმოს მიერ აღიარებულ იქნა, როგორც პანდემიის ადგილზე მართვის ერთ-ერთი საუკეთესო მოდელი.

პანდემიის მართვის კვალდაკვალ, მქონდა ამბიცია, რომ რეგიონის ეკონომიკის მამოძრავებელი არცერთი დარგი არ შეფერხებულიყო. დღეს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პანდემიის მიუხედავად, კახეთში არ შეფერხებულა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება - რეალიზაცია, არ შეჩერებულა ტურისტული დანიშნულების ახალი ადგილების მშენებლობა და ექსპლუატაციაში შესვლა. წელს, იუნესკომ ორი ბიოსფერული რეზერვატი აღიარა, ორივე რეზერვატი კახეთის რეგიონში მდებარეობს. 2022 წელს, კახეთმა ზედიზედ, მეოთხედ სუფთა რეგიონის სტატუსი დამსახურებულად მოიპოვა. ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს დიდი იმედის საფუძველს, რომ კახეთი, როგორც ლიდერი რეგიონი დამსახურებულად დაიმკვიდრებს თავის ღირსეულ ადგილს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ტურისტულ რუქაზე.

ჩვენი ქვეყნის სიძლიერეს ძლიერი, განვითარებული რეგიონები განაპირობებს. მსურს, წარმატება ვუსურვო ბატონ პრემიერს, თითოეულ რეგიონს, ჩემს კოლეგა სახელმწიფო რწმუნებულებს, რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტსა და თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ყოველდღიურად ჩაბმულია ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების ფერხულში.

ვუსურვებ წარმატებას რეგიონის რვავე თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებსა და მათ თანამშრომლებს, მადლიერებას გამოვხატავ კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის თითოეული თანამშრომლის მიმართ, ვინც ჩემთან ერთად, ერთიანი ტემპითა და შემართებით ყოველდღიურად ზრუნავდა, იმისათვის, რომ კახეთის რეგიონი სამაგალითო ყოფილიყო.

კიდევ ერთხელ, გამოვხატავ ჩემს გულწრფელ დამოკიდებულებას ჩემი კახეთისა და აქ მცხოვრები ძლიერი, მშრომელი, მართალი ადამიანებისადმი. ღრმად მწამს, რომ კახეთის განვითარება არ შეჩერდება, ვუსურვებ წარმატებას ახალ ხელმძღვანელს ახალ ასპარეზზე.

ჩემი ტრავმის გამო, რაც გამოწვეული იყო ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ყველაზე რთულ პერიოდშიც კი, არ ჩამოვმორებულვარ საქმეს, ძალიან სწრაფად გავიარე რეაბილიტაცია, რომ ფეხზე დავმდგარიყავი. თუმცა, კვლავ მესაჭიროება სრულყოფილი მკურნალობა, რაც ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ჩემი თანამდებობიდან გადადგომისთვის.

ვრჩები ჩემი მშობლიური კუთხის ერთგულ გულშემატკივრად.“

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საქართველოში დანაწევრებულია

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საქართველოში უაღრესად დანაწევრებულია, - ამის შესახებ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის, მიწისა და წყლის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ შემაჯამებელ ანგარიშში წერია. ანგარიშში, რომელიც, როგორც მიგნებებს, ასევე რეკომენდაციებს მოიცავს, ასევე აღნიშნულია, რომ კერძო საკუთრებაში მცირე ზომის ნაკვეთებია (რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების 36 პროცენტი), ხოლო უფრო დიდი ნაკვეთები სახელმწიფოს საკუთრებაში ან მართვაშია. მსოფლიო ბანკის მიხედვით, საკუთარ მოხმარებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობიდან, კომერციულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის ერთ-ერთი გზა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებაში მზარდი კონსოლიდაციის ხელშეწყობაა. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საშუალო ფართობი, რომელსაც შინამეურნეობა მართავს, 1.37 ჰექტარია. მიწის მფლობელობის მხრივ, ყველაზე დიდი საშუალო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 3.55 ჰექტარი, კახეთის რეგიონშია, შემდეგ მოდის სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (2.21 ჰექტარი). სამცხე-ჯავახეთში, სასოფლო-სამეურნეო მიწის 50 პროცენტზე მეტი საძოვრებს უკავია (საქართველოს მთავრობა 2013წ.). ქვემო ქართლის რეგიონი, 1.81 ჰექტარით, მესამეა საშუალო სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მიხედვით (GFA 2018წ.). დანარჩენ რეგიონებში, სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობების უმეტესობა, მცირე საოჯახო მეურნეობებია 1.37 ჰექტარზე ნაკლები ფართობით, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია“, - წერია ანგარიშში. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, საკუთრების აღრიცხვის სისტემებში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და პროცედურების გამარტივების მიუხედავად, ქვეყნის მასშტაბით მიწის, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწის, 28%, ჯერ კიდევ დასარეგისტრირებელია. „სოფლად მიწის სუსტი ბაზრები ქმნის ენდოგენურ შეზღუდვებს, როგორც ზრდის (მაგ, ფერმერები, რომლებიც ცდილობენ, გაზარდონ თავიანთი მეურნეობები), ასევე ბაზარზე შესვლის თვალსაზრისით (მაგ. ფერმერები ან აგრობიზნესის საწარმოები, რომლებიც ეძებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდ ფართობებს ინვესტიციისთვის)“, - მიაჩნია მსოფლიო ბანკს და ანგარიშში აღნიშნავს, რომ სპეციალური მარეგულირებელი და საკანონმდებლო მექანიზმის შექმნა, როგორიცაა „მიწის მდგრადი მართვის ეროვნული სტრატეგია“, მიწის კონსოლიდაციის პოლიტიკის დღის წესრიგის ჩათვლით, ხელს შეუწყობს ამ შეზღუდვების დაძლევას. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, მიწის გაერთიანების რეგულირების მოთხოვნა უკვე იკვეთება, რადგან მიწის სისტემური რეგისტრაციის კამპანიის დროს, მესაკუთრეთა სპონტანური მოთხოვნის შემდეგ, მოხდა რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების 11 %-ის კონსოლიდაცია.

რატომ გაითიშა ფილმების საიტები?

რამდენიმე დღეა, რაც მეკობრული ვებგვერდები გაითიშა, ადამიანები კი ამ საიტებზე სხვადასხვა ფილმისა თუ სერიალის ნახვას ვეღარ ახერხებენ. საუბარია ისეთ ვებგვერდებზე, როგორიც adjaranet და imovies-ია. როგორც მათ საიტებზეა აღნიშნული, ამ დროისთვის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.

მეკობრული საიტების გათიშვასთან დაკავშირებით განცხადებას კომუნიკაციების კომისიაც ავრცელებს. მარეგულირებლის ინფორმაციით, ინტერნეტ სივრცეში მოპარული კონტენტის გავრცელება კანონით აკრძალულია და სწორედ ამიტომ, ისინი ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით, წლებია დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან ერთად ინტერნეტ სივრცის არალეგალური კონტენტისგან გათავისუფლებისთვის აქტიურად მუშაობენ. ამასთან, კომისიამ ვებგვერდების წარმომადგენლებს საკუთარ პლატფორმებზე განთავსებული კონტენტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანისთვის ორწლიანი ვადა მისცა და გასულ კვირაში ვებგვერდებს არალეგალური კონტენტის ჩახსნისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. როგორც კომუნიკაციების კომისიის განცხადებაშია აღნიშნული, იმ ვებგვერდებთან დაკავშირებით, რომლებმაც კომისიის მოთხოვნის მიუხედავად არ ამოიღეს საკუთარი პლატფორმიდან არალეგალური კონტენტი, კომისიამ უკვე მიმართა ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმოქმედებენ.

„კომუნიკაციების კომისიამ ვებგვერდების წარმომადგენლებს თითქმის ორწლიანი ვადა მისცა იმისთვის, რომ საკუთარ პლატფორმებზე განთავსებული კონტენტი კანონთან შესაბამისობაში მოეყვანათ და ლეგალურად განეთავსებინათ. გამომდინარე იქიდან, რომ მეკობრეობის სრულად აღმოფხვრა კომუნიკაციების კომისიის პრიორიტეტად რჩება, კომისია ამ ეტაპზეც ყოველდღიურად თანამშრომლობს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ვებგვერდებთან არალეგალური კონტენტის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. კომუნიკაციების კომისიამ გასულ კვირაში ხანგრძლივი სამუშაო პროცესის გასვლის შემდეგ, კიდევ ერთხელ მიმართა იმ ვებგვერდებს, რომლებიც მოპარულ კონტენტს ავრცელებენ, რომ გაათავისუფლონ საკუთარი პლატფორმები არალეგალური კონტენტისგან. იმ ვებგვერდებთან დაკავშირებით, რომლებმაც კომისიის მოთხოვნის მიუხედავად, არ ამოიღეს საკუთარი პლატფორმიდან არალეგალური კონტენტი, კომისიამ უკვე მიმართა ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმოქმედებენ.

„კომუნიკაციების კომისიამ ვებგვერდების ჩახსნის გადაწყვეტილების მიღება უფრო მარტივი გახდა“ - აღნიშნავს გიგა კობალაძე.

არ ამოიღეს საკუთარი პლატფორმიდან არალეგალური კონტენტი, კომისიამ უკვე მიმართა ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულნი არიან მოახდინონ რეაგირება და მიიღონ შესაბამისი ზომები მისი აღმოფხვრის მიზნით“ - აღნიშნულია კომუნიკაციების კომისიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ინფორმაციისთვის, კომუნიკაციების კომისიის განცხადებით, 2019 წელს საქართველომ Motion Picture Association of America-sgan გაფრთხილებაც მიიღო, სადაც ამერიკული კინოსტუდიები შეშფოთებას გამოთქვამდნენ საქართველოში არსებულ საიტებზე არალეგალური ფილმების ჩვენების გამო და პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში, ქვეყანას სანქციების შესახებ აფრთხილებდნენ, რაც კინო და ტელე მსოფლიო პრემიერების დაგვიანებით ან, რიგ შემთხვევაში, მათი სრულიად გაუქმებით იქნებოდა გამოხატული. მეკობრული საიტების გათიშვას საავტორო უფლებათა ასოციაციაც ეხმაურება. როგორც ასოციაციის თავმჯდომარე გიგა კობალაძე ბმ.გე-სთან აღნიშნავს, მეკობრული საიტები ფუნქციონირებას მოპარული კონტენტით ვეღარ გააგრძელებენ და მათ ერთადერთ გამოსავლად საქმიანობის ლეგალურად გაგრძელება რჩებათ. მისივე განმარტებით, მეკობრეობა ზიანის მომტანია, რადგან სწორედ ამის გამო, კრეატიულ ინდუსტრიაში ინვესტიციები არ ხორციელდება. ***„საიტები საქმიანობას პირატულად ვეღარ გააგრძელებენ და ერთადერთ გამოსავლად დარჩებათ ის, რომ კონტენტი ლეგალურად მოიპოვონ.საქართველოში მთლიანი ინტერნეტ-სივრცის თითქმის 90% მეკობრულია. ეს დამაზიანებელია, რადგან საქმიანობას აზრი ეკარგება. კრეატიულ ინდუსტრიაში ინვესტიცია არ ხორციელდება, ამაში არავინ ფულს არ დებს. გვერდზე, როცა გყავს მეკობრე, ბიზნესი წარმატებული ვერ იქნება, რადგან ის არაკეთილსინდისიერი კონკურენტია. ამ საიტების დარეგულირებაზე საუბარი დიდი ხანია მიმდინარეობს, რამდენიმე შეხვედრაც იყო, რათა ისინი ლეგალურ საწყისებზე გადასულიყვნენ. ახლა, როცა ქართული ლეგალური ალტერნატივა შეიქმნა და პარალელურად არსებობს უცხოურებიც, მეკობრული ვებგვერდების ჩახსნის გადაწყვეტილების მიღება უფრო მარტივი გახდა“*** - აღნიშნავს გიგა კობალაძე.

ევროკავშირი საქართველოსთვის
ENPARD
ადგილობრივი მანვილობრივის ჯგუფი
DEDOPLISTSKARO LOCAL ACTION GROUP
მწვანე რეგიონები
Green Regions
UNDP

კლიმატის ცვლილების გამოწვევები და განახლებადი ენერგიები

შეხვედრა სოფელ ქვემო ქედში

გაეროს განვითარების პროგრამის -„სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“- დაფინანსებით, დედოფლისწყაროში ხორციელდება პროექტი -„ინოვაციური მიდგომები-სათემო განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“. პროექტის ფარგლებში, მორიგი სემინარი ჩატარდა სოფელ ქვემო ქედში. სამუშაო შეხვედრა-სემინარი შესავალი სიტყვით და დღის წესრიგის გაცნობით გახსნა პროექტის ხელმძღვანელმა ანა ბენაშვილმა.

კლიმატის ცვლილების სცენარებზე და საერთაშორისო კონვენციებზე ისაუბრა ორგანიზაცია „მწვანე რეგიონების“ ხელმძღვანელმა ქალბატონმა რუსუდან სიმონიძემ და თავის პრეზენტაციაში აღნიშნა, რომ კლიმატის მიმდინარე ცვლილებების შეფასება მოხდა საქართველოს ჰიდრო მეტეოროლოგიური ქსელის 33 სადგურის დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით 1961-2010 წწ. პერიოდში, ხოლო საპროგნოზო სცენარები 2021-2050 წწ. და 2071-2100 წწ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ მატების ტენდენციას ავლენდა. ორ პერიოდს შორის (1961-1985; 1986-2010) ამ პარამეტრმა ყველაზე მეტად დედოფლისწყაროში მოიმატა (0.7 ^{0}C). ამ პერიოდში მაქსიმალურმა ნაზარდმა დასავლეთ საქართველოში 0.6^{0}C (ფოთი) შეადგინა. დათბობის შედარებით ნაკლები, მაგრამ მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოვლინდა მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში.

1994 წლის 21 სექტემბერიდან - კლიმატის ცვლილების კონვენციის ხელმომწერმა მხარეებმა, განვითარებულმა ქვეყნებმა დაიწყეს ეროვნული შეტყობინებების წარდგენა, სადაც აღწერილი იყო მათი სტრატეგიები კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში. 1997 წელს მიღებულ იქნა „კიოტოს ოქმი”, რომლითაც ქვეყნებმა ახალი, უფრო მკაცრი ვალდებულებები იკისრეს. კონვენციისგან განსხვავებით, კიოტოს ოქმი ქვეყნებისთვის სათბურის აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეტულ (თითოეული ქვეყნისთვის განსხვავებულ) ზღვრები (ლიმიტებს, ქვოტებს) დაადგინა. ქვეყნებს მიეცათ უფლება გაფრქვევათა შემცირების ნაწილი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეესრულებინა, ანუ ფაქტობრივად ქვოტებით ევაჭრათ. 2009 წელს კოპენჰაგენში მხარეთა კონფერენციის მე-15 სესიაზე მიღებულ იქნა იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტი „კოპენჰაგენის შეთანხმება“. ამ დოკუმენტის თანახმად განვითარებადი ქვეყნები უზრუნველყოფილი უნდა იქნან უფრო მასშტაბური ახალი და დამატებითი, პროგნოზირებადი და ადექვატური დაფინანსებით, ასევე ხელმისაწვდომობით ამ დაფინანსებასთან, რათა შესაძლებელი გახდეს და ხელი შეეწყოს შერბილებისაკენ მიმართულ ქმედებებს, ასევე ხელი შეეწყოს ადაპტაციას და ტექნოლოგიების განვითარება-გადაცემას. კოპენჰაგენში გადაწყდა „მწვანე კლიმატის ფონდის შექმნა როგორც კონვენციის ფინანსური მექანიზმის მოქმედი ორგანო. 1979 წელს კლიმატისადმი მიძღვნილმა პირველმა მსოფლიო კონფერენციამ კლიმატის ცვლილება სერიოზულ პრობლემად აღიარა.

ცნობილია, რა კლიმატის გლობალური ცვლილების მთავარი გამომწვევი მიზეზი-ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის ზრდა, მისი შერბილება შესაძლებელია აღნიშნული გაზების ემისიის (გაფრქვევა) შემცირებით და ამ გაზების მშთანთქმელთა გაძლიერებით. კლიმატის ცვლილების პრობლემების გადაჭრა მსოფლიოს ქვეყნების მთავრობების ძალისხმევითაა შესაძლებელი. ამისთვის აუცილებელი გახდა ისეთი ერთობლივი მექანიზმის შექმნა, რომელიც თავის მხრივ ყველა ქვეყნის მთავრობებს დაავალდებულებდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას და მასთან ადაპტაციას.

1992 წელს რიო დე ჟანეიროში, გაერთიანებული ერების კონფერენციაზე - „გარემო და განვითარება“, მიღებულ იქნა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილების პრობლემას და მისი მოგვარების გზას. კონვენცია ძალაში შევიდა 1994 წლის 24 მარტს და მასზე მიერთებულია 190-ზე მეტი ქვეყანა. კლიმატის ცვლილების კონვენციის საბოლოო მიზანია, მიაღწიოს ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციების სტაბილიზაციას იმ დონემდე, რომელიც არ დაუშვებს კლიმატურ სისტემაზე საშიშ ანთროპოგენურ ზემოქმედებას. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია მოიცავს მუშაობას ორი მიმართულებით: სათბური გაზების შემცირების (ე.წ. „მიტიგაცია“, ანუ კლიმატის ცვლილების შერბილება) და კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის - შეგუება ანუ გარდაუვალი ცვლილებებისადმი გამძლეობის გაზრდის - მიმართულებით.

კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის უმაღლესი ორგანოა მხარეთა კონფერენცია (COP- Conference of Parties), რომელშიც წარმოდგენილია კონვენციის ყველა ხელმომწერი ქვეყანა. „მწვანე რეგიონების“ ექსპერტმა ავთანდილ გელაძემ თავის პრეზენტაციაში ყურადღება გაამახვილა განახლებად ენერგორესურსებზე და გააკეთა მცირე მიმოხილვა. მზის ენერგია საქართველოში:

3.5) - საშუალო წლიური რადიაცია 3.5კვტ*სთ/(მ2*დ-ღ)=1278კვტ*სთ/(მ2*წ);

3.8) - საშუალო წლიური რადიაცია 3.8კვტ*სთ/(მ2*დ-ღ)=1387კვტ*სთ/(მ2*წ);

4.2) - საშუალო წლიური რადიაცია 4.2კვტ*სთ/(მ2*დ-ღ)=1533კვტ*სთ/(მ2*წ);

4.5) - საშუალო წლიური რადიაცია 4.5კვტ*სთ/(მ2*დ-ღ)=1643კვტ*სთ/(მ2*წ);

5.3) - საშუალო წლიური რადიაცია 5.3კვტ*სთ/(მ2*დ-ღ)=1935 კვტ*სთ/(მ2*წ);

საქართველოში მზის საშუალო წლიური რადიაციის სიდიდედ მიღებულია 1550 კვტს*სთ/(მ2*). ცივ პერიოდებში მზის რადიაციის მეტ-ნაკლებად გარანტირებული მნიშვნელობაა 450 კვტ*სთ/(მ2*წ). 1კვ. მ მზის კოლექტორი წელიწადში:დაზოგავს 170 კუბ.მ ბუნებრივ აირს; შეამცირებს ნახშირორჟანგის გამონაბოლქვს 600 კგ—ით

ქარის ენერგიის პოტენციალი

2000 მგვტ /სიმძლავრე და წელიწადში 5 მგვტ/სთ გამომუშავება, ანუ ელექტროენერგიაზე დღევანდელი მოთხოვნილების 40% შეიძლება მიღებულ იქნას ქარის ელექტროსადგურების საშუალებით. ეს შეფასება მოიცავს მხოლოდ ყველაზე პერსპექტიულ უბნებს მაღალი ჯამური პოტენციალით

მდინარეებისა და ქარის ენერგოპოტენციალის შედარება

ქარის სრული თეორიული ენერგოპოტენციალი შეადგენს 1300 მლრდ. კვტ/სთ-ს; საქართველოს მდინარეების სრული თეორიული ენერგოპოტენციალი შეადგენს 135 მლრდ კვტ/სთ-ს.

ბიომასა

ბიოენერგიის შესაძლო წყაროებია: შეშა, სატყეო მეურნეობის ექსპლოატაციის ნარჩენები,ხე-ტყის ინდუსტრიის ნარჩენები,სოფლის მეურნეობის მოსავლის ნარჩენები, აგრო ინდუსტრიის ნარჩენები, მეცხოველეობის ნარჩენები, გამწმენდი მოწყობილობების ნარჩენები, მუნიციპალური-საყოფაცხოვრებო ნარჩენები. 2020 წლისათვის ჩვენს მიერ წარმოებულ ყველა სახის ენერგიაში ბიომასის (ძირითადად - შეშა) წილი საკმაოდ მაღალია. სულ ვაწარმოებთ 43 680 ტერა/ჯოულ ენერგიას და მ.შ. ბიომასიდან 9 536 ტრ/ჯ ანუ 21,8% (ჰიდროენერგიის წილი ადგილზე წარმოებულში შეადგენდა 68%-ს)ცივილური ქვეყნისთვის ეს საშინელი მაჩვენებელია!

შეშა

საქართველოში მოსახლეობის ენერგეტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყოველწლიურად იჭრებოდა დაახლოებით 8 მლნ/მ^3 ხე-ტყე. ამ რაოდენობის მერქნის ენერგია შეადგენს დაახლოებით 22 მლრდ კვტ/სთ-ს. ეს არის ძალიან ცუდი მაგალითი უკვე მოჭრილი ხის ენერგიის გაფლანგვისა! საინტერესოა, რომ: -1 ხე, 1 წლის განმავლობაში, ატმოსფეროს აგრილებს ისევე, როგორც 10 უწყვეტად მომუშავე კონდიციონერი; -შეიწოვს 13 ათას ლიტრამდე წვიმის წყალს და ატმოსფეროდან გამოაქვს 28 კგ-მდე მტვერი

ბიომასა

საქართველოში მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნარჩენების ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს:

-ხორბლის მოსავლის ნარჩენების 280 მლნ. კვტ/სთ;

-სიმინდის მოსავლის ნარჩენების - 750 მლნ. კვტ/სთ;

-დანარჩენი მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნარჩენების კი 270 მლნ.კვტ/სთ-ს.

-მარცვლოვანი კულტურების ნარჩენების სრული ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 1,3 მლრდ კვტ/სთ-ს წელიწადში

-მეფრინველეობის ნარჩენების სრული ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 6,9 მლრდ. კვტ/სთ-ს, რაც 734 მლნ მ3 ბუნებრივი გაზის ექვივალენტურია

-1 ჰექტარზე გაშენებული რაფსიდან მიიღება 0,9 ტონა ბიოდიზელი, 1,5 კოპტონი და 3 ტონა მშრალი მასა.

- 1 ჰექტარზე გაშენებული სილფიადან მიიღება 20 ტონა მშრალი მასა, რომლის ენერგოტევადობა შეადგენს დაახლოებით 68 ათასს კვტ/სთ—ს.

სილფიას მოსავლიდან მიღებული ბიოდიზელის ფასი არ გადააჭარბებს 1 ლარს/ლიტრზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენი

ქ. თბილისის და ქუთაისის მუნიციპალური ორგანოების მონაცემების მიხედვით ნაგავსაყრელებზე ყოველწლიურად გროვდება დაახლოებით 900 ათასი ტონა ნარჩენები. მათი გადამუშავებით შესაძლებელია მიღებული იქნას 90 მლნ მ3 ბიოგაზი, რაც 64 მლნ მ^3 ბუნებრივი გაზის ექვივალენტურია.

ქ. თბილისის კანალიზაციის წყლის გამწმენდი მოწყობილობებიდან შესაძლებელია ყოველწლიურად 160 მლნ მ3 ბიოგაზის მიღება, რაც 1 მლრდ კვტ/სთ-ს ელექტროენერგიის ექვივალენტურია

ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალი

საქართველოში ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალი ჯამში 12.5 მილიარდ კვტ/სთ-ს შეადგენს. დაახლოებით ამდენი ელექტროენერგიას მოიხმარენ დღეისათვის საქართველოში. ეს შეფასება არ ითვალისწინებს საქართველოში ენერგეტიკული კულტურების მოყვანის და გამოყენების შესაძლებლობებს.

გეოთერმია

გეოთერმული თვალსაზრისით, საქართველო წარმოადგენს ზომიერად თერმულ რაიონს; საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 30-108°C ტემპერატურის მქონე თერმული წყლის 250-მდე ბუნებრივი წყარო. საქართველოს თერმული წყლის რესურსების 80%-ზე მეტი თავმოყრილია დასავლეთ საქართველოში. საქართველოს გეოთერმული რესურსების ძირითადი პოტენციალი თავმოყრილია 44-მდე საბადოში. 1998 წლის იანვრის მდგომარეობით თერმული წყლების ჯამური საბალანსო მარაგი შეადგენდა 90 ათას მ^3/დღ-ში, ანუ 350-400 მილიონ მ^3-ს წელიწადში. წინასწარი შეფასებებით მათი საერთო სითბური ენერგია 420 მეგავატამდეა; თერმული ენერგიის პოტენციალი კი - 2.7 მგვტ/სთ/წელი. არსებული 50 თერმული ჭაბურღილის ნაწილი საშუალო სიღრმისაა,

/გაგრძელება გვ.8/

500 მილიარდზე მეტი კლიმატის გამოწვევებთან საბრძოლველად

აშშ შემდეგ ათწლეულში კლიმატის საკითხებზე 500 მილიარდ დოლარზე მეტს დახარჯავს. არასამთავრობო ორგანიზაცია RMI-ს დასკვნით, შეერთებული შტატების მთავრობა შემდეგი ათწლეულის განმავლობაში, კლიმატის ტექნოლოგიაზე და სუფთა ენერგიაზე 500 მილიარდ დოლარზე მეტს დახარჯავს.

გათვლა ეფუძნება ამ თვეში მიღებულ ინფლაციის შესამცირებელ და CHIPS (სასარგებლო სტიმულების შექმნა, რათა ამერიკისთვის ნახევარგამტარების წარმოება მოხდეს) კანონებს და გასულ წელს მიღებულ, ინფრასტრუქტურაში ინვესტირების და სამუშაო ადგილების კანონს. ეს კანონები ერთობლივად დააფინანსებს კლიმატთან დაკავშირებულ კვლევას, საპილოტო კვლევებს და მხარს დაუჭერს წარმოებას.

დაახლოებით 514 მილიარდი დოლარიდან, 362 მილიარდი ინფლაციის შემცირების კანონზე (IRA) მოდის, 98 მილიარდი - ინფრასტრუქტურის კანონზე და 54 მილიარდი - ორპარტიული მხარდაჭერით მიღებულ CHIPS კანონზე. თუმცა, კონგრესმა უნდა მიიღოს დამატებითი კანონები, რომელიც ზოგიერთი ფონდის გაცემას სჭირდება. ანალიზი დამატებით სასოფლო-სამეურნეო და მიწებთან დაკავშირებულ კლიმატურ ხარჯებს არ ითვალისწინებს.

CHIPS კანონი დააფინანსებს კლიმატთან დაკავშირებულ ძალისხმევას მასალების მეცნიერებაში, როგორიცაა ბატარეების ახალი ქიმიის შემუშავება და უფრო ეფექტური მზის პანელები.

შემდეგ ხუთ წელიწადში, კლიმატზე და სუფთა ენერგიაზე ფედერალური ხარჯები, 1990-იანების და 2000-იანების დასაწყისთან შედარებით, დაახლოებით 15-ჯერ მეტი იქნება.

აშშ-ის მთავრობის შეფასება აჩვენებს, რომ განახლებადი ენერგია წარმოების უფრო დიდი ნაწილი ხდება, მაგრამ კვლევის ავტორებმა თქვეს, რომ კლიმატის საკითხზე მოქმედებას დაჩქარება სჭირდება.

* * *

ამ დაჩქარების მიზანშეწონილობაზე მეტყველებს ბოლო დროს პაკისტანში მომხდარი წყალდიდობაც. პაკისტანის ოფიციალურმა პირებმა შეშფოთება გამოხატეს წყლით გავრცელებული დაავადებების და საკვების ნაკლებობის საფრთხის შესახებ, იმ ფონზე, როცა 31 აგვისტოს ბევრ ადგილას უკან დახევა დაიწყო წყალდიდობისას მოვარდნილმა წყალმა - რომელმაც, გავრცელებული ცნობებით, მანამდე ქვეყნის მესამედი მოიცვა.

ძლიერი წვიმით გამოწვეულმა დატბორვამ ივნისის შუა რიცხვების შემდეგ იმსხვერპლა 1100-ზე მეტი ადამიანი, გაანადგურა ან დააზიანა მილიონამდე

სახლი და შედეგები გამოიწვია ათობით მილიონი პაკისტანელისთვის. გაერო გამოვიდა ოფიციალური თხოვნით პაკისტანისთვის სასწრაფო დახმარების სახით შეგროვდეს 160 მილიონი დოლარი. ქვეყნის კატასტროფათა ცენტრი აცხადებს, რომ 220 მილიონი ადამიანის მოსახლეობის მქონე ქვეყანაში თითქმის ნახევარ მილიონ პირს სახლ-კარის დატოვება მოუხდა და ამჟამად ბანაკებს აფარებს თავს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) წარმომადგენელი პაკისტანში ამბობს, რომ ყველაზე მეტად დაზიანებულ ადგილებში პრიორიტეტს წარმოადგენს სასწრაფო ჯანდაცვასთან წვდომა და დაავადებებზე დაკვირვების გაძლიერება, რათა არ გაჩნდეს დაავადებათა აფეთქების კერები.

პრემიერ-მინისტრმა, შეჰბაზ შარიფმა წყალდიდობას უწოდა ყველაზე მძიმე პაკისტანის ისტორიაში. მან 31 აგვისტოს თქვა, რომ განადგურებულია ბრინჯის, ხილის და ბოსტნეულის მოსავალი. წყალმა წაიღო 700,000-მდე პირუტყვი.

„რუსეთი ერთადერთი ტერორისტია მსოფლიოში, რომელმაც ატომური სადგური ბრძოლის ველად აქცია“

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს რადიაციულ შანტაჟზე პასუხისმგებლები „როსატომის“ თანამშრომლებიც არიან და მათ სანქციები უნდა დაეკისროთ. ამის შესახებ ზელენსკიმ ნორვეგიაში „ჩრდილოეთ ზღვების შელფის“ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ნორმალური არაა, როდესაც „როსატომის” წინააღმდეგ დღემდე არ მოქმედებს დამბლოკავი სანქციები ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე რადიაციული შანტაჟის გამო, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრებათ სადგურზე მყოფ „როსატომის“ კონკრეტულ თანამშრომლებს. არც ის არის ნორმალური, რომ რუსეთის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ვიზა ევროპულ ქვეყნებში, რათა დაისვენონ ან „შოპინგზე“ გაემგზავრონ, მაშინაც კი თუ ეს ადამიანი სამხედრო დამნაშავეა ან ეხმარება რუსეთის სახელმწიფოს ევროპის წინააღმდეგ“, - განაცხადა ზელენსკიმ.

ამასთან, როგორც უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, არც ის არის ნორმალური, რომ ევროპული კომპანიები დღემდე ვერ ჩამოყალიბდნენ გავიდნენ თუ არა რუსული ბაზრიდან და არც ის, რომ ვიღაცას ჯერ კიდევ აქვს რუსეთთან ენერგომიმართულებით თანამშრომლობის იმედი. „არანაირი დათმობა ბანდიტებისთვის არ უნდა იყოს! მხოლოდ ახალი სასანქციო დარტყმები მათზე“,- განაცხადა ზელენსკიმ.

მისი თქმით, რუსეთის მხრიდან რადიაციული შანტაჟის მიზნები ციინიკურია და გათვლილია უკრაინელების და ევროპელების დაშინებაზე, შანტაჟსა და იძულებაზე.

„უბრალოდ დაფიქრდით, რუსეთი ერთადერთი ტერორისტია მსოფლიოში, რომელმაც ატომური სადგური ბრძოლის ველად აქცია და აკეთებს ყველაფერს, რომ ევროპამ უყუროს, საით წაიღებს ქარი ამ რადიაციას, იმ შემთხვევაში თუ კატასტროფა მოხდება. რუსეთს სურს, რომ ევროპამ თვალი დახუჭოს ომზე და ამისთვის ის ევროპაში შიდა ქაოსის პროვოცირებას ახდენს. რუსეთს სურს, იარაღის ძალით წაგვართვას თავისუფლება, თქვენ კი - ამ კრიზისებით, რომლებსაც ის ქმნის და ამძაფრებს. რუსეთს სურს, გაიძულოთ მიატოვოთ ევროპული ღირებულებები“,- განაცხადა ზელენსკიმ.

ამ გამოსვლებს მოჰყვა რუსული ძალების მიერ ზაპოროჟიეზე მორიგი თავდასხმები. უკრაინის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია „ენერგოატომის“ ინფორმაციით, რუსული ძალების მიერ განხორციელებული დაბომბვის გამო ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის მეხუთე ენერგობლოკი დაიხურა, რომელიც ობიექტში ორი მოქმედი რეაქტორიდან ერთ-ერთია. ინფორმაცია ენერგოდარის მერმა, დმიტრო ორლოვმაც დაადასტურა და განაცხადა, რომ ენერგობლოკის დახურვის შემდეგ ავარიული დაცვის სისტემა გააქტიურდა.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში, რუსეთის მიერ კონტროლირებად ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის ტერიტორიაზე ჩავიდნენ. სადგურის ტერიტორიაზე დელეგაცია დილით უნდა ჩასულიყო, თუმცა, ვიზიტი რამდენიმე საათით მას შემდეგ გადაიდო, რაც დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურთან მძიმე ბრძოლა მიმდინარეობდა, წინასწარ შეთანხმებული მარშრუტი კი, რომლითაც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები უნდა გადაადგილებულიყვნენ, დაიბომბა. უკრაინის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ დაბომბვა რუსულმა ძალებმა მისიის ვიზიტისთვის ხელის შეშლის მიზნით განახორციელეს.



ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური

„ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მისია დატოვებს თავის წარმომადგენლებს ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე“ - ამის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რაფაელ გროსიმ განაცხადა. მისი თქმით, ზაპორიჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე მუშაობის რამდენიმე საათში, მისიამ მოახერხა **„ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაციის“** შეგროვება. გროსიმ ასევე განაცხადა, რომ მან ნახა ის საკვანძო ობიექტები, რისი ნახვაც სურდა. გროსის თქმით, მისია ენერგოდარში ზაპორიჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე 3 სექტემბრამდე დარჩება, შემდეგ კი **„განიხილავს სადგურის ტერიტორიაზე მუდმივი სადამკვირვებლო მისიის ყოფნის საკითხს“.**

„წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ ხელმძღვანელის, რობერტ მარდინის განცხადებით კი, ზაპოროჟიეს ელექტროსადგურთან ბრძოლა სასწრაფოდ უნდა შეწყდეს. **„ატომური სადგურიდან გაჟონვის შემთხვევაში, ჰუმანიტარული დახმარების გაწევა რთული ან სულაც შეუძლებელი იქნება და სწორედ ამიტომ ბრძოლა უნდა შეწყდეს. შესაძლოა, მასობრივი კატასტროფის სცენარი მივიღოთ და ასეთ შემთხვევაში, ძალიან მცირე რამის გაკეთება იქნება შესაძლებელი მისი საშინელი შედეგების შესამსუბუქებლად“,** - აღნიშნა რობერტ მარდინიმ.

ის ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლების ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე დაგეგმილ ვიზიტს მიესალმა და ხაზი გაუსვა, რომ ამ და მსგავსი ობიექტების სამხედრო ოპერაციებისგან დასაცავად შესაბამისი ზომების გატარების დროა.

„ამიტომ, დროა შეწყდეს ცეცხლთან თამაში და გატარდეს კონკრეტული ზომები ამ ობიექტის და მისი მსგავსი ობიექტების სამხედრო ოპერაციებისგან დასაცავად. უმცირესმა არასწორმა გაანგარიშებამ შეიძლება გამოიწვიოს განადგურება, რომელსაც ჩვენ ათწლეულების განმავლობაში ვინანებთ“, - აღნიშნა „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ ხელმძღვანელმა.

უკრაინული მედიის ცნობით, ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური ახლა შესაძლოა რადიაციისა და უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევით მუშაობდეს, გარდა ამისა შესაძლოა, ოკუპანტებს დაენაღმათ სადგურის ტერიტორია. შეგახსენებთ, რომ 25 აგვისტოს ევროპაში უდიდეს, ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურს, პირველად არსებობის ისტორიაში, ორჯერ შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, რაც აუცილებელი პირობაა ობიექტის ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ომის ვეტერანი, ტურისტი და დანაშაული?!

სიღნაღში ჩეხი ტურისტის გაუპატიურებისთვის დაკავებული დედოფლისწყაროში მცხოვრები დავით ლეკაშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა. მან ექვსწლიანი სასჯელი სრულად მოიხადა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ლეკაშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა პატიმრობიდან ვადის ამოწურვამდე ორი თვით ადრე გაათავისუფლა.

როგორც ლეკაშვილის ოჯახში ჩვენთან საუბრისას განმარტავენ, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, მას, როგორც ომის ვეტერანს, ყველა სახელმწიფო პენსია აღუდგა. თუმცა, ამის მიუხედავად, ლეკაშვილი ახლო მომავალში ქვეყნის დატოვებას და საზღვარგარეთ გამგზავრებას გეგმავს.

„ბევრი ვიბრძოლეთ, რომ სიმართლე დაგვემტკიცებინა და უდანაშაულო შვილი პატიმრობიდან მალე გათავისუფლებულიყო, მაგრამ ვერ შევძელით. ამდენ ბრძოლაში კიდეც ამოიწურა პატიმრობის ვადა. თუმცა, სასამართლომაც იცოდა, პროკურატურამაც და ყველა ხედავდა, რომ საქმეში მყარი მტკიცებულებები არ იდო. ჩეხეთის საელჩოს განაწყენება არ სურდა პროკურატურას და ამიტომ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, თორემ თავად ისინიც აღარ ჩიოდნენ. ამ განაჩენით თითქოს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი დაიცვეს, მაგრამ გაწირეს საკუთარი მოქალაქე. ჩემი შვილი კოვიდ პანდემიის გამო ორი თვით ადრე გათავისუფლდა. როგორც გავარკვიე, რამდენიც მოიხადა, იმდენივე წლის გასვლის შემდეგ ნასამართლეობა მოეხსნება. საქართველოში თავისი პროფესიით ვეღარ იმუშავებს, რასაც წლები შეალია, იმ საქმეს ვეღარ გაყვება, დაუნგრიეს მომავალიც და კარიერაც. ამიტომ, სხვა რა გამოსავალი აქვს, რა გააკეთოს? იძულებულია რომელიმე ქვეყანაში წავიდეს. თითქოს დროებით აპირებს, მაგრამ შემდეგ ეს დრო იწელება და ხანგრძლივი გამოდის. წინასწარ შეუძლებელია თქვა, რამდენი ხნით ტოვებ სამშობლოს,“ – ამბობს მისი დედა მზია ალადაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ქიზიყში ჩამოსული ტურისტები ლეკაშვილთან ნებაყოფლობით ურთიერთობდნენ, მთელი დღე ერთად გაატარეს და ბრალდებული სასტუმროშიც თავადვე მიიწვიეს, სასამართლომ მაინც გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ღამით რ.ბ. და დავით ლეკაშვილი ერთ საწოლში აღმოჩნდნენ. ყველაფერი ჩვეულებრივად ვითარდებოდა, თუმცა, კონფლიქტი მხოლოდ დილით დაიწყო და პოლიციაც ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე საოჯახო სასტუმროში რენატას მეგობარმა გამოიძახა. სიღნაღის სასამართლომ ლეკაშვილს 6 წლითა და 3 თვით პატიმრობა მიუსაჯა. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც გულისხმობს სქესობრივ კავშირს ძალადობით, ძალადობის მუქარით, ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

„შირაქმა“ ჯერ კიდევ 5 წლის წინ გაავრცელა სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულების სახით დართული ფოტოსურათები, რომლებიც ადასტურებს, რომ მათი ურთიერთობა ჰარმონიულია, ძალადობას არ შეიცავს. სასამართლოს მიერ დაზარალებულად მიჩნეული გოგონა დაკავებულ დავით ლეკაშვილს „კისერზე ეკიდება“, კოცნის და ჩახუტებული პოზირებს.

მაშინვე გავრცელდა ვერსია, რომ დაზარალებულის სტატუსის მიღების შემდეგ სამოგზაურო დაზღვევიდან ტურისტები სოლიდურ საკომპენსაციო თანხას მიიღებდნენ და, შესაძლოა, აყალმაყალი ამიტომაც ატეხეს. ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ **სამივე ტურისტი სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელია**. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოდან ისინი დროზე ადრე გაფრინდნენ, გამოძიების მსვლელობას არ დაელოდნენ და არც შემდგომ თვეებში გამართულ სასამართლო განხილვებში მიუღიათ მონაწილეობა. ანუ, მათი ინტერესი არ იყო, როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანდა სასამართლო. დაზარალებულად მიჩნეული გოგონა პოლიციის მოსვლის და საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგაც ექსპერტიზის ჩატარებაზე უარს აცხადებდა.

36 წლის დავით ლეკაშვილმა სამი ჩეხი ტურისტი ჩალაუბნის გზაზე შემთხვევით გაიცნო, ისინი სიღნაღის დათვალიერებას გეგმავდნენ და დახმარება შესთავაზა. სიღნაღის სხვადასხვა კაფის თანამშრომლები, კვადროციკლის გაქირავების მომსახურე პერსონალი ამტკიცებენ, რომ გოგონასა და მამაკაცს ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდათ და მთელი დღის განმავლობაში მათ კონფლიქტი არ ჰქონიათ:

„100%-ით გეუბნებით, რომ ეს გოგონა ბიჭს კისერზე ეკიდებოდა, კოცნიდა, მეგობრები კი ფოტოებს უღებდნენ და ერთობოდნენ. არანაირი წინააღმდეგობა არ ჰქონდა, პირიქით, გოგონა იჩენდა ყურადღებას მამაკაცის მიმართ. შემდეგ, ტურისტები დედოფლისწყაროში წაიყვანა, მწვადი შეუწვა, ასეირნა, ბოლოს კი სიღნაღში საოჯახო სასტუმროში დააბინავა და თავადაც იქ დარჩა“, – ჰყვებიან თვითმხილველები.

იმავე სასტუმროში დარჩნენ რ.ბ-ს დაქალი და კიდევ ერთი მეგობარი მამაკაციც, თუმცა რ.ბ დათოსთან ერთად წვება. დილით კი მათი მეგობარი გოგონა ყვირილს იწყებს და პატრულს იძახებს. სასტუმროს პერსონალიც ამბობს, რომ ძალადობის ხმა არ სმენია. წნორის „არქიმედეს“ კლინიკაში გადაყვანილი გოგონა ექსპერტიზაზე უარს აცხადებს. წნორის საავადმყოფოს ექიმი ამბობს, რომ გოგონა ექიმების მიმართ აგრესიული იყო, არ სურდა, მისი მდგომარეობა გამოეკვლიათ. როგორც წნორის „არქიმედეს“ კლინიკაში აცხადებენ, „გასინჯვაზე უარს ამბობდა. წინააღმდეგი იყო, სამედიცინო დახმარება აღმოგვეჩინა. მამაკაც ექიმებთან ურთიერთობაზეც უარი თქვა, შემდეგ ქალბატონი მედიკოსების დახმარებით მოხერხდა მისი გარეგანი დათვალიერება, სხეულზე გარეგანი დაზიანების ნიშნები არ აღენიშნებოდა, იყო მშვიდად. მოხერხდა ჰემოდინამიკური მონაცემების შემოწმებაც, რომელიც აბსოლუტურად ნორმაში იყო. სასწრაფოს ექიმების გადმოცემით, ქალბატონი იყო ნასვამ მდგომარეობაში და წინააღმდეგობას უწევდა სასწრაფოს ექიმებსაც“.

ექსპერტიზის დასკვნაში წერია: **„შემოწმებისას სხეულზე გარეგნულად მექანიკური დაზიანების რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღინიშნება. საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეულია, თუმცა, დარღვევის ხანდაზმულობისა და პერიოდის განსაზღვრა ექსპერტიზას არ შეუძლია, ვინაიდან გასულია ორ კვირაზე მეტი დრო. გაუპატიურების ფაქტის დადგენა არ შედის სასამართლო სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციაში“.**

დავით ლეკაშვილი აგვისტოს ომის მონაწილეა, მთელი ცხოვრება სპორტსა და სამხედრო სამსახურს დაუთმო. მისი ფსიქიკა მაღალი რანგის მისიების დროს არაერთხელ შემოწმებულა. სამშვიდობო მისიით ერაყშიც მსახურობდა. მას მოძალადედ არავინ ახასიათებს. მიუხედავად განაჩენისა, სასამართლო განხილვაზეც გამოიკვეთა, რომ ძალადობის კვალი არ ჩანს. გამოძიება ირწმუნება, რომ გოგონა ნასვამი იყო, მამაკაცმა კი მისი უმწეო მდგომარეობით ისარგებლა და სქესობრივი კავშირი დაამყარა. არადა, არ გამოკვლეულა, რა სახის თრობა აღენიშნებოდა იმ მომენტში ქალბატონს და ხომ არ იქნა გამოყენებული საძილე, თუ ზემოქმედების სხვა საშუალებები.

ზურაბ ბეგიაშვილი **(ოჯახის ადვოკატი):** „თუკი ტურისტები რაიმე საფრთხეს გრძნობდნენ, დათოს ღამით მათთან ერთად არ დატოვებდნენ, ან კარს საგულდაგულოდ დაკეტავდნენ. გაირკვა, რომ საკეტი ღია იყო და არც გვერდით ოთახში გაუგია ვინმეს ძალადობის ხმა. როცა გათენდა და მეგობარმა პატრულს დაურეკა, ამ დროს რ.ბ თავს იმართლებდა, რომ ეძინა და არაფერი ახსოვს. რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ეძინა, ალიბის შექმნას ცდილობდა. უამრავი წინააღმდეგობაა ჩვენებებში და ბევრი სიცრუე წერია, ამიტომაც სასამართლო სხდომებზე ხელახალ დაკითხვებს თავი აარიდეს, რადგან ტყუილი ჩვენებები მალე გაქარწყლდებოდა. სასამართლოზე რომ ჩამოსულიყვნენ, ანალიზის შედეგად ისეთ კითხვებს დავუსვამდით, რომ ნამდვილად ჩაიჭრებოდნენ. ამასთან, გოგონა სპორტსმენია – მორბენალი და ფრენბურთელი, შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, თუკი მოისურვებდა.

დავითის დაკავებას პირველ ეტაპზე არავინ აპირებდა. როდესაც გოგონები თბილისში წავიდნენ, ჩეხეთის საელჩოს დაუკავშირდნენ და საელჩომ მთელი ძალისხმევა დახარჯა, რომ ხმაური აეტეხა. როგორც ჩანს, საელჩომ პროკურატურაში დარეკა, რათა რეაგირება მკაცრი ყოფილიყო. ჩეხეთის საელჩო ადასტურებს, რომ მათ აქტიურად დაიწყეს მოქმედებები, დაიქირავეს თარჯიმანი, საკონსულოს წარმომადგენლები დადიოდნენ და ლობირებდნენ ამ საქმეს. ეს დაზარალებულების დაცვა კი არა, საელჩოს მხრიდან შეტევა იყო პროკურატურაზე. გაჩნდა მოსაზრება, რომ მათ სამოგზაურო დაზღვევა ჰქონდათ და შესაძლოა ამით ტურისტებმა კომპენსაცია მიიღეს. იქნებ სწორედ ფინანსური ინტერესის გამო ატეხეს ხმაური? გაირკვა, რომ სამივე ტურისტი სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელია, რაზეც სასამართლო განხილვისას ყურადღება არ გამახვილებულა. სამოგზაურო დაზღვევა შესაძლებელია გულისხმობდეს, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზღვევას, ისე სექსუალური რისკებისა და ხელშეუხებლობის საკითხსაც. სწორედ ეს გარემოება შეიძლება გამოიყენონ მათ და ნებისმიერ დროს საქართველოს უჩივლონ, რომ ამ ქვეყანამ ვერ უზრუნველყო მათი დაცვა სქესობრივი ხელშეუხებლობის კუთხით. დათო ღირსეული მამაკაცია, მთელი ცხოვრება სამშობლოს ემსახურა, არც ერთი შეცდომა არ დაუშვია სამხედრო მისიებში, ყველა ტიპის ფსიქოლოგიური ტესტირება გავლილი აქვს და მოძალადე ადამიანი ასეთი წარმატებული ვერ იქნებოდა. იმ დროს, როდესაც მის გამოცდილებას ჩვენი ქვეყანა თავის სასიკეთოდ უნდა იყენებდეს, ის ექვსი წლით ციხეში გამოკეტეს და მომავალიც გაუნადგურეს“.

ილია მარტყოფლიშვილი

„ფქვილზე ფასის კლების ტენდენცია მიმდინარეობს“

„საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის, ლევან სილაგავას განცხადებით, ფქვილზე ფასის კლების ტენდენცია მიმდინარეობს.

როგორც სილაგავამ „მედიაცენტრ მთავარში“ პრესკონფერენციისას განაცხადა, ფქვილზე ფასი იკლებს, მაგრამ ჯერჯერობით ტენდენციაში არ გადასულა ქსელურ მარკეტინგში. მისი თქმით, თუ ჯაჭვში არ იქნება შეყვანილი ქსელური მარკეტები, ვინც საბოლოო პროდუქტს ყიდის და ეს პროცესი სახელმწიფოს მხრიდან არ გაკონტროლდა, „ვერ გავიგებთ, ფქვილზე ფასის კლება მომხმარებელზე აისახება თუ არა“.

მისი განცხადებით, საქართველოში ხორბლის 100 ტონა მოსავალი იყო, თუმცა, 5-ჯერ მეტი რუსეთიდან შემოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა თვითუზრუნველყოფის გაზრდა.

„ვიცით, რომ ამუშავდა უკრაინის დერეფანი, ამან დადებითი ტენდენციები გამოიწვია. ასევე რუსეთში საკმაოდ კარგი მოსავალია და აქაც მცურავი ბაჟი შემცირებისკენ წავიდა. თუ ტენდენცია გაგრძელდება, წისქვილებმა შეიძლება გადახედონ ვითარებას და ამოქმედებისკენ გადაიხარონ. დღეს, სამწუხაროდ, გვაქვს ტენდენცია, როდესაც ფქვილი შემოდის და არა ხორბალი, რის გამოც დიდი წისქვილები ვერ მუშაობენ. შესაძლებელია, წისქვილების სხვა ნაწილებმაც იფიქრონ წარმოების ამუშავებაზე და არა ფქვილის შემოტანაზე. დღეს ფქვილის შემოტანა უფრო რისკიანია, ვიდრე ხორბლის. გაეროსგან ბევრი გაფრთხილება მიიღო მსოფლიო თანამეგობრობამ რუსეთთან დამოკიდებულებასთან მიმართებაში და თვითუზრუნველყოფის გაზრდაზე.

საქართველოში ხორბლის 130000 ტონა მოსავალია, თუმცა, 5-ჯერ მეტი შემოგვაქვს, ამიტომ საჭიროა თვითუზრუნველყოფის გაზრდა. ჩვენს ასოციაციას დაუკავშირდა ამერიკული მხარე, ინფორმაციის და ტენდენციების გარკვეული მიმოცვლა მოხდა. შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი საქართველოში ხორბლის წარმოების გაზრდის მიზნით საქართველოში ვიზიტს აპირებს. არა მარტო ჩვენს ასოციაციაში იქნება შეხვედრები, არამედ მთავრობაშიც. პროგრამა ითვალისწინებს 50%-მდე თვითუზრუნველყოფის გაზრდას.

ფქვილის ფასის კლების ტენდენცია მიმდინარეობს. ერთი თვის წინ, 1 ტონარა პირველი ხარისხის ფქვილის ფასი 85 ლარი იყო, დღეს 80 ლარამდეა ჩამოსული. არსებობს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებზე კონტროლს ახორციელებს ყველა ჯაჭვში, ყველა ეტაპზე. სახელმწიფომ დააანონსა პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებზე რეფერენტული ფასების შემოღება, რაც ნიშნავს, რომ ყველა ჯაჭვში გარკვეულ ფასნამატზე იქნება სახელმწიფოს კონტროლი“, - განაცხადა სილაგავამ.

„საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის“ თავმჯდომარის, **მალხაზ დოლიძის** განცხადებით, პურის ფასის კონტროლის ქვეშ მოსაქცევად, წამლების მსგავსად, რეფერენტული ფასები (პროდუქციის გასაყიდი ან საექსპორტო ფასის ზედა ზღვარი, რომელსაც სახელმწიფო ადგენს) პურზეც უნდა დაწესდეს.

დოლიძის თქმით, პურის დღეს არსებული ფასი არა წარმოების მიერ ნაკარნახევი ფასია, არამედ „მაღაზიების მიერ მომდინარეობს“.

„რეფერენტული ფასები უნდა შემოვიდეს. კონტროლი უნდა იყოს იმისა, რომ მე რომ მაღაზიას პური მივაწოდე, მან ეს თანხა თავის მოგებაში კი არ უნდა ასახოს, არამედ მოსახლეობას იმ ფასად მიაწოდოს, რა ფასადაც მიწოდებულია. რა თქმა უნდა, შიგნით თავის მოგება უნდა ჩადოს, მაგრამ არა ისეთი მაღალი, რომ მოსახლეობაზე აისახოს,“ - აღნიშნა დოლიძემ.

მისივე განცხადებით, პურის მწარმოებლების სურვილია, რომ თუკი შესაძლებლობა იქნება, პურის ფასი დაახლოებით, 10 თეთრით შემცირდეს.

„ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და ა.შ. ფასებში ფოკუსირდება, ამიტომ თუ გვექნება შესაძლებლობა, ჩვენ ყოველთვის წავალთ იმაზე, რომ, რა თქმა უნდა, ეს პურის ფასში ავსახოთ, მითუმეტეს ტენდენცია ისეთია, რომ დღეს ფქვილის ფასები დაბლა მოდის. მეწარმის სურვილი ყოველთვის არის, რომ მეტი პურის რეალიზაცია მოხდეს, ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ თუ ამის შესაძლებლობა იქნება, ფასის დაკლება დაახლოებით, 10 თეთრის ფარგლებში მოხდეს,“ - განაცხადა მალხაზ დოლიძემ.

ამასთან, მისივე თქმით, მსოფლიო ბირჟაზე ხორბლის ფასი და საქართველოსთვის დაწესებული მცურავი ბაჟის თანხა შემცირდა და ქვეყანაში ხორბლის შემოტანის და წისქვილკომბინატების ამუშავება შესაძლებელი გახდა.

„ბოლო პერიოდში წისქვილკომბინატების მუშაობა შეუძლებელი გახდა, გაჩერდა და ქვეყანაში ძირითადად ფქვილი შემოდიოდა. დღეს ტენდენცია შეიცვალა. დღევანდელი ფასები მსოფლიო ბირჟებზე არის მაგალითად, ფრანგული 345 დოლარი, ამერიკული 346 დოლარი, რუსული 347 დოლარი. გარდა ამისა, ამ მცურავი ბაჟის ფასმაც საგრძნობლად დაიკლო, რომელიც ჩვენთან მიმართებაში მოქმედებდა და შესაძლებელი გახდა ხორბლის შეძენა- მიღებისა, რომ წისქვილკომბინატები ამუშავდეს და ეს ძალიან კარგი ტენდენციაა,“ - განაცხადა მან.

მალხაზ დოლიძის ინფორმაციით, ადგილობრივი ხორბლის წარმოების კუთხით წელს კარგი მოსავალია.

„წელს მოსავალი უკეთესია. უკვე აღებულია 100 ათასი ტონა. პროგნოზია, რომ 150000 ტონამდე ხორბალს მივიღებთ. ძალიან კარგია, რომ საქართველოში ხორბლის მოყვანას მიუბრუნდნენ,“ – აღნიშნა მალხაზ დოლიძემ მედიაცენტრ „მთავარში“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

აღსანიშნავია, რომ საშუალო და მცირე წისქვილკომბინატების ნაწილმა მუშაობა განაახლა

„საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის, ლევან სილაგავას განცხადებით, ხორბლის იმპორტის განახლების შესაბამისად, საშუალო და მცირე წისქვილკომბინატების ნაწილმა მუშაობა განაახლა, დიდი წისქვილკომბინატები კი კვლავ გაჩერებულია.

როგორც სილაგავამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, მსოფლიო ბაზარზე სიტუაცია უმჯობესდება და თუკი ეს ტენდენცია გაგრძელდა, შესაძლოა, ოქტომბერ-ნოემბერში წისქვილები უფრო მასიურად ამუშავდეს.

„მსოფლიო ბაზრიდან გამომდინარე სიტუაცია უმჯობესდება და თუ ტენდენცია გაგრძელდა, შეიძლება, მუშაობის განახლება უფრო დიდმა წისქვილკომბინატებმაც იფიქრონ. ჩვენ ვუყურებთ, რომ მსოფლიო ბაზრებზე ხორბლის ფასი შემცირდა და იმედი გვაქვს, რომ ოქტომბერ-ნოემბერში წისქვილები უფრო მასიურად ამუშავდება,“ - განაცხადა ლევან სილაგავამ.

მისივე თქმით, საქართველოში, აგვისტოში, რამდენიმე ათასი ტონა ხორბლის იმპორტი განხორციელდა, რომლის ძირითადი ნაწილი რუსეთიდან შემოვიდა.

„ყველა კომპანიას ფაქტობრივად, რუსეთიდან შემოგვაქვს. ეს განპირობებულია იმით, რომ გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთი გეოგრაფიულად ჩვენი ყველაზე ახლო მეზობელია და ფასი, როგორც ხორბლის, ისე ტრანსპორტირების ყველაზე მისაღები აქ არის. შესაბამისად, ეს არის პრინციპი, რომ იაფი ფქვილი და იაფი ხორბალი არის ჩვენი ახლომდებარე რეგიონიდან - ეს არის რუსეთი. ყაზახეთიდან ძალიან ცოტა შემოდის, უკრაინიდან კი თითქმის არ შემოდის, რადგან შორს მდებარეობს და ტრანსპორტირება უფრო ძვირი ჯდება,“ - აღნიშნა სილაგავამ.

მისივე ინფორმაციით, აგვისტოს დასაწყისთან შედარებით, წისქვილკომბინატების მიერ გამოშვებული ერთი ტომარა ფქვილის ღირებულება დაახლოებით, 5-7 ლარით შემცირდა.

ლევან სილაგავას განცხადებით, იმისათვის, რომ ფქვილის ფასის შემცირება საბოლოოდ პურზე აისახოს, საჭიროა, რომ პურზე ფასი ჯერ მეპურეებმა, შემდეგ კი მაღაზიებმა შეამცირონ.

„ერთ ტომარა პირველი ხარისხის ფქვილზე აგვისტოს დასაწყისში 85-86 ლარი იყო, დღეს არის 77-80 ლარი. შემცირება არის და ჯერჯეროგით ტენდენციაც შემცირებისკენ მიდის. მეპურეებიც თუ შეამცირებენ პურის ფასს, შემდეგი ნაბიჯი არის, რომ მაღაზიებმა პურის ფასის გადასასახადი შეამცირონ. ამ სამივე ჯაჭვმა სინქრონულად უნდა იმუშაოს. ამ შემთხვევაში იქნება ასახული საბოლოო პროდუქტზე ანუ პურზე მომხმარებლისთვის ფასი.

ფქვილის ფასის შემცირების პარალელურად, ფქვილის ფასის შემცირება თვითონ მაღაზიებმა უნდა ასახონ, მათ შორის ქსელურმა სუპერმარკეტებმა. შესაბამისად, ეს მომხმარებელმა მაღაზიების საშუალებით უნდა იგრძნონ. შესაბამისად, „პურის მწარმოებელთა ასოციაცია“ ინიციატივით გამოვიდა, რომ კარგი იქნებოდა რეფერენტული ფასები, როგორც მთავრობამ მაგალითად, წამალზე გამოაცხადა, გადმოტანილი ყოფილიყო ამ დარგისთვის. ამ სამი ჯაჭვის მუშაობას სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს, რომ ფქვილის ფასიდან გამომდინარე, პურზე ფასები ზღვრული იყოს,“ - აღნიშნა ლევან სილაგავამ.

მისივე განცხადებით, საქართველოში ამ დროისთვის ხორბლის მარაგი არის, რაც საქართველოში ხორბლის მოსავლის აღებითა და იმპორტის განხორციელებით არის განპირობებული.

„ფქვილი არ არის მოწოდებული იმისთვის, რომ მარაგები შეიქმნას, იმიტომ რომ მისი შენახვის ვადა არის დაახლოებით, თვე-ნახევარი, მაშინ, როდესაც ხორბლის არის 2-3 წელი,“ – აღნიშნა მან.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

რამდენი რუსული ბიზნესი დარეგისტრირდა საქართველოში?

საქართველოში 1-ელი მარტიდან 1-ელ აგვისტომდე 7459 რუსული ბიზნესი დარეგისტრირდა. შესაბამისი ინფორმაცია „ინტერპრესნიუსმა“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოითხოვა.

როგორც სააგენტოს „საქსტატიდან“ აცნობეს, დარეგისტრირებული რუსული ბიზნესიდან 544 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), 6913 ინდივიდუალური მეწარმე, ხოლო 2 უცხოური საწარმოს ფილიალია.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში დარეგისტრირებული 544 რუსული შპს-დან 542-ს საქმიანობა უცნობია, 1 კომპანიის საქმიანობის სფერო ყავის გადამუშავება, კიდევ 1-ის კი რესტორნების გარეშე სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებებია.

რაც შეეხება საქართველოში რეგისტრირებულ 6913 რუს ინდივიდუალურ მეწარმეს, ამ შემთხვევაშიც ცნობილია მხოლოდ 2-ის საქმიანობა, 6911-ის საქმიანობის სფერო კი, „საქსტატის“ ცნობით, მათთვის უცნობია.

ამასთან, „ინტერპრესნიუსის“ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში ყველაზე მეტი რუსული ბიზნესი - კერძოდ, 2169 მარტში დარეგისტრირდა. კერძოდ, მიმდინარე წლის მარტში საქართველოში რეგისტრაცია გაიარა 147-მა რუსულმა შპს-მ, 2021-მა ინდივიდუალურმა მეწარმემ და ერთმა უცხოური საწარმოს ფილიალმა.

აპრილის თვეში 1601 რუსული ბიზნესი დარეგისტრირდა, მაისში 1370, ივნისში - 1219 და ივლისში - 1100.

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია დამტკიცდა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დამტკიცდა 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია და ამავე სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მთავრობის წევრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა პირადად წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, მიხეილ ჩხენკელმა მთავრობის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის ეფექტიანობის გაზრდის კუთხით ერთიანი ეროვნული სტრატეგიის შემუშავების მნიშვნელობაზე ისაუბრა და მთავრობის წევრებს სამოქმედო გეგმის დეტალები გააცნო.

„აღსანიშნავია, რომ 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია 2021 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის მიერ წარდგენილ 10-წლიან გეგმაზე. დოკუმენტი ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნებს და ხელს შეუწყობს მიმდინარე განათლების რეფორმის ფარგლებში მიღწეული შედეგების გამყარებას.

დოკუმენტში, სიტუაციური ანალიზის ჩატარების შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, განსაზღვრულია სამი ძირითადი სექტორულ-პრიორიტეტული მიმართულება:

საზოგადოებისა და სახელმწიფოს საჭიროებებზე ორიენტირებული ხარისხიანი და მდგრადი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა;

თანასწორი, ინკლუზიური და მრავალფეროვანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა;

განათლებისა და მეცნიერების სისტემის მართვისა და ანგარიშვალდებულების სისტემის უზრუნველყოფა.

თავის მხრივ, დოკუმენტში, სექტორული პრიორიტეტების საფუძველზე, განსაზღვრულია 15 სტრატეგიული მიზანი და 28 ამოცანა.

სტრატეგია ასევე მოიცავს ევროკავშირის, გაეროს, მსოფლიო ბანკის, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ განათლებისა და მეცნიერების სექტორში გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად შემუშავებულ რეკომენდაციებსაც.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, რომელიც თან ერთვის სტრატეგიას, ის წარმოადგენს პრიორიტეტული მიმართულებების შესასრულებლად დროში გაწერილ კონკრეტულ, შესაბამის მიზნებზე ორიენტირებულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ აქტივობებს პასუხისმგებელი მხარეებისა და შესაბამისი შედეგების ინდიკატორების მითითებით. სამოქმედო გეგმა კვარტალური პრინციპით არის გაწერილი და მოიცავს შესაბამისი ბიუჯეტით დამტკიცებულ განხორციელების სამწლიან პერიოდს.

მიხეილ ჩხენკელის ინიციატივით, 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობა 2021 წელს დაიწყო. დოკუმენტი შემუშავდა პროექტის — „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში (PAR)“, მსოფლიო ბანკის პროექტის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი — საქართველო I2Q (IBRD)“, UNDP Georgia-ს და ევროკავშირის პროგრამის Skills for jobs-ის ექსპერტების მხარდაჭერითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად. სამუშაო პროცესში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი დარგის სპეციალისტები, დონორი ორგანიზაციები და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 ივნისის 304-ე დადგენილებით შექმნილი 2022-2030 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს წევრები.

ПОЛИТИКИС ШЕМУШАВЕБИС ГАМАХВИРВАЛОБИС УЗРУНВЕЛЕСАЧЕНОБИСАТВИС, МОКАЛАКЕЕБИС, САЗОГАДОЕБИСА ДА ДАИНТЕРЕСЕБУЛИ МХАРЕЕБИС ЧАРТУЛОБИС МИЗНЕБИТ, САКАРТВЕЛОС ГАНАТЛЕБИСА ДА МЕЦНИЕРЕБИС САМИНИСТРОМ ОНЛАИН ФОРМАТШИ ГАМАРТА САЯРО КОНСУЛТАЦИЕБИ, РОМЕЛТА САФУძВЕЛЗЕ МИღებული უკუკავშირის გათვალისწინებით სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია შემუშავდა“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს ზეგაანი და ოყურეშის უსახელოური დაემატა

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რაოდენობა 27-მდე გაიზარდა, რაც ქართული ღვინის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის.

გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის მოთხოვნით, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტი“ ა(ა)იპ „ზეგაანმა“ და „უსახელოურის ვაზისა და ღვინის დაცვის ასოციაციამ“ მიმართეს. ღვინოების წარმოების სპეციფიკაციის მომზადებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ საკითხებში ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობდა. „ზეგაანი“ წითელი მშრალი ქვევრის ბიოღვინოა. მიკროზონა გურჯაანის მუნიციპალიტეტში მოიცავს უშუალოდ სოფელ ზეგაანს და მის სავარგულებს.

ზეგაანი შეიძლება მხოლოდ ზეგაანის მიკროზონაში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადდეს. „ოყურეშის უსახელოური“ წითელი ღვინოა, რომელიც, შაქრიანობის მიხედვით, შეიძლება იყოს სამი სხვადასხვა კატეგორიის: მშრალი, ბუნებრივად ნახევრად მშრალი ან ბუნებრივად ნახევრად ტკბილი. „ოყურეშის უსახელოურის“ მიკროზონა მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ცაგერის ადმინისტრაციულ მუნიციპალიტეტში. ოყურეშის უსახელოური შეიძლება დამზადდეს მხოლოდ მიკროზონაში მოწეული უსახელოურის ჯიშის ყურძნიდან. ამ ეტაპზე, საქართველოში დარეგისტრირებულია დაცული ადგილწარმოშობის დასახელების შემდეგი ღვინოები: ***ქინძმარაული, მანავი, კახეთი, ნაფარეული, თელიანი, მუკუზანი, წინანდალი, ახაშენი, გურჯაანი, ხვანჭკარა, ატენი, სვირი, ვაზისუბანი, კარდენახი, ტიბაანი, ტვიში, ყვარელი, კოტეხი, ხაშმის საფერავი, ბოლნისი, სალხინოს ოჯალეში, ახმეტა, წარაფი, ახოები, მაღრაანის ქისი, ოყურეშის უსახელოური და ზეგაანი.***

საქართველოში მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები დაწესდება

მთავრობის ინიციატივით, საქართველოში მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები (მედიკამენტის გასაყიდი ან საექსპორტო ფასის ზედა ზღვარი, რომელსაც სახელმწიფო ადგენს) დაწესდება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებისას განაცხადა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, თურქეთის ბაზრის გახსნის შემდეგ მოქალაქეებმა დაახლოებით, 80 მილიონ ლარამდე თანხა დაზოგეს.

„ბოლო თვეების განმავლობაში წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც ეხებოდა წამლების ფასებს. მას შემდეგ, რაც თურქეთის ბაზარი გაიხსნა და შემოვიდა ხარისხიანი თურქული წარმოების წამალი საქართველოში, ჩვენმა მოქალაქეებმა დაახლოებით, 80 მილიონ ლარამდე თანხა დაზოგეს. ამას გარდა, ბატონი ზურაბ აზარაშვილი აქტიურად მუშაობს და რომ არ მოხდეს ფასების გაზრდა, დაწესდეს რეფერენტული ფასებიც, რომ არცერთ კომპანიას, არცერთ იმპორტიორს არ მიეცეს ფასებით მანიპულირების საშუალება ან შეთანხმებები არ მოხდეს ერთმანეთს შორის“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ხსოვნა

ციური გორაშვილი

3 სექტემბერს ერთი წელი გახდა, რაც უშენობა გულს მძიმე დარდად დააწვა. შენ იყავი ადამიანი, რომელთან ერთადაც 48 წელი შრომაში, ურთიერთგაგებასა და სიამტკბილობაში გავატარე.

მიუხედავად ჩვენი დაკავებული ცხოვრების რეჟიმისა, დიდი ძალისხმევის შედეგად 3 შვილი მაინც გავზარდეთ, განათლება მივეცით, დავაოჯახეთ, საკუთარი კერა მოვუწყეთ, შვილიშვილებიც აღვზარდეთ. ყველას გვერდით ვედექით. კარგი სიძე შეგვხვდა, შალვა გორაშვილი ოჯახის ერთგული და შვილების მოყვარე ახალგაზრდა. რძლებიც - მაგული პაპუაშვილი და თინიკო ჯავშანაშვილი, როგორც შენ ამბობდი ხოლმე, ღმერთის საჩუქრები იყვნენ ჩვენთვის. როცა ცხოვრებით უნდა გაგვეხარა და დავმტკბარიყავით მათი სიყვარულით, თავსდატეხილმა პანდემიამ იმსხვერპლა უკურნებელი სენისგან ისედაც ჯანმრთელობაშერყეული შენი სიცოცხლე. კოვიდით გარდაცვლილს ისეთი პატივი ვერ გეცით, როგორც გეკადრებოდა, ამაზე გვწყდება გული.

ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის, მაგრამ ჩვენ ძალიან გვაკლიხარ. ამ დანაკლისის შეგრძნებითა და უშენობით გამოწვეული ტკივილით სავსე ერთი წელი კი ლამის საუკუნედ გვეჩვენება.

ნათელში იყავი, ჩვენო ციური, ვლოცულობთ შენთვის. ეჭვიც არ გვეპარება, შენც ლოცულობ ჩვენი სიკეთისათვის. უფალს ებარებოდე, არასოდეს დავივიწყებთ შენს ერთგულებას და ამაგს. განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მეუღლე ნოდარი, შვილები:
მიშიკო, მამუკა და ანა გურაშვილები ოჯახებით.

კლიმატის ცვლილების გამოწვევები და განახლებადი ენერგიები

/დასაწყისი გვ.3/

წყლის ტემპერატურით 40 - 70 გრადუსი, მეორე ნაწილი კი ღრმაა, ტემპერატურით 80-105 გრადუსი. ამ გეოთერმული ენერგიის სრულად და რაციონალურად გამოყენება საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად დავზოგოთ 2,5 მილიონი ტონა პირობითი საწვავი (ტპს), რითაც ატმოსფეროში O_2-ის გამონაბოლქვის რაოდენობა შემცირდება დაახლოებით 1200000 ტონით წელიწადში. ამ გეოთერმული ენერგიის სრულად და რაციონალურად გეოთერმული სითბო ნებისმიერი სხვა გზით გენერირებულ სითბოზე 5-6-ჯერ იაფია.ამჟამად, თერმული წყლების თითქმის ყველა საბადოზე გაცემულია ლიცენზია.მათი უმეტესი ნაწილი მოიხმარება სასათბურე მეურნეობებში და ჰიგიენური მიზნებისათვის (აბანოები), ხოლო მცირე ნაწილი სათევზე მეურნეობისათვის. ცხელი წყლის მომარეგების სისტემაში ჩართულია მხოლოდ მცირე რაოდენობა 730.000 $მ^3$ წელიწადში, ისიც ძირითადად ლისი-საბურთალოს მოსახლეობისთვის.

პრობლემა

არსებული რეჟიმით (ჭაბურღილი-მომხმარებელი-კანალიზაცია) თერმული წყლების ექსპლოატაცია, იწვევს პროდუქტიული ჭების დებეტის შემცირებას, საჭიროა რესურსის რაციონალური მოხმარება.

შესაძლებლობები:

დასავლეთ საქართველოს საბადოების პოტენციალი საშუალებას იძლევა მოეწყოს სხვადასხვა სიმძლავრის გათბობის ცენტრალიზებული სისტემები შემდეგ რაიონულ ცენტრებში: ხობი - 1.2 მგვტ, სენაკი - 11 მგვტ, სამტრედია - 5 მგვტ, ვანი - 5 მგვტ. ზუგდიდი ცაიშის გეოთერმული საბადოს ბაზაზე შესაძლებელია მოეწყოს ზუგდიდის თბომომარაგების სისტემა და ზუგდიდი-ცაიშის აგროკოპლექსი, მოხმარებით 185 გვტ/სთ/წ. გაუმართლებლად ნაკლები ყურადღება ექცევა:



-საქართველოში მზის პოტენციალის შესწავლას და გამოყენებას;

-საქართველოს ზუსტ და დეტალურ ენერგობალანსს;

-გეოთერმული რესურსების ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლას, მათ შორის გეოთერმული რესურსების გამოყენების გაზრდის ბიზნეს-შესაძლებლობების შესწავლას და ენერგეტიკული კულტურების მოყვანის ტექნიკურ-ეკონომიკურ შეფასებას.

-ელექტროენეგიის წარმოების ეფექტურობის ამაღლებას, არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციი გზით.

-ენერგიის განახლებადი წყაროების უახლესი ტექნოლოგიების იმპორტსა და გამოყენება.

- ელექტროენერგიის გადაცემა-განაწილებაში დანაკარგების შემცირებას.

-ენერგოეფექტიანობის ამაღლება საყოფაცხოვრებო სექტორში

- ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას, ნაგავსაყრელებიდან და კანალიზაციიდან მეთანის უტილიზაციას.

-ატმოსფეროდან სათბური გაზის მოცილებას ბიოლოგიური სეკვესტრირებით (მაგ. ხეების დარგვით, ტყეების მდგრადი მართვითა და აღდგენით).

- ბიოგაზის წარმოებას სხვადასხვა ტიპის ბიომასიდან

ინფორმაცია მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP საქართველო) „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“, პროექტის - „ინოვაციური მიდგომები - სათემო განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“- ფარგლებში.

ინგა შიოლაშვილი



მზის ენერგია საქართველოში, მზის რადიაციის რუქა

ულოცავენ!

ციცინო ჩაფიაშვილს! არჩილ ჩაფიაშვილს და მზია წყარუაშვილს! გოგი კიკილაშვილს და დალი ელისაშვილს!

ვუერთდებით თქვენი ოჯახების დიდ სიხარულს ქეთი ჩაფიაშვილის და პაატა კიკილაშვილის გაბედნიერებასთან დაკავშირებით. პაატა და ქეთი სკოლიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს, ორივე დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის წარმატებული მოსწავლეები იყვნენ როგორც სწავლაში, ასევე შემოქმედებით საქმიანობაში. ჩვენი ერთ-ერთი საინტერესო პროექტის ფარგლებში „მოგონებანი გარდასულ დღეთა“, სპეციალურად მოწვეულმა, ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა „სტუმარმა“ ქეთი ჩაფიაშვილმა, ფანდურზე შესრულებული სიმღერებით დაატკბო სასწავლო ცენტრ „სპექტრში“ მოწვეული შეყვარებული წყვილები... გვეამაყება, რომ კიდევ ერთი ქართული, ტრადიციული ოჯახი შეიქმნა ჩვენს სათაყვანებელ დედოფლისწყაროში.

საუკეთესო სურვილებით და უღრმესი პატივისცემით,
დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია.

მარინე მოლაშვილს!

საუკეთესო ადამიანს, დედას, მეუღლეს, ბებიას და უერთგულეს მეგობარს-მარინე მოლაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერ წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას და მხნეობას თავისი საყვარელი ოჯახის საიმედოდ. ის არის ადამიანი, რომლის გარემოცვაში მხოლოდ პოზიტივი იგრძნობა, ყველას მოქომაგე და იმედი. დალოცვილი იყავი უფლისგან, ჩვენო ძვირფასო მეგობარო.

დიდი პატივისცემით და სიყვარულით,
ცისია პაპუაშვილი და მარიკა ჯინაშვილი.

ლიზი ყოჩიაშვილს!

გილოცავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ფაკულტეტზე ჩარიცხვას. ვამაყობთ შენით!

პაპა ეგული ყოჩიაშვილი, **მშობლები:** თამარ ბოსტაშვილი და დიმიტრი ყოჩიაშვილი, **დები**: ანასტასია და მარიამი.

იგორ სტრახოვს!

დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მნათეს, იგორ სტრახოვს, ვულოცავთ 60 წლის იუბილეს. ვუსურვებთ სულიერ, ფიზიკურ ჯანმრთელობასა და მხნეობას.

მეუღლე თამარი,
შვილი მარიამი, მოძღვრები, მრევლი და ახლობლები.

ყურძნის გავლენა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე

ბრიტანელმა მეცნიერებმა ახალი კვლევა წარადგინეს. მათ შეისწავლეს ყურძნის გავლენა ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. პირველ კვლევაში ავტორებმა დაადგინეს, რომ დღეში ორი მტევანი ყურძნის ჭამა, ცხიმოვანი დიეტის დაცვასთან ერთად, ხელს უწყობს ღვიძლის ცხიმიანობის შემცირებას და სიცოცხლის გახანგრძლივებას.

გარდა ამისა, დადგინდა, რომ ეს ხილი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს გენეტიკურ ექსპრესიაზე. ყურძენში აღმოჩენილ ნივთიერებებს შეუძლიათ გაზარდონ ანტიოქსიდანტების დონე, რაც შეამცირებს სხეულის ბიოლოგიურ ასაკს დაახლოებით ოთხიდან ხუთ წლამდე. სხვა კვლევაში, იგივე ავტორებმა დააფიქსირეს, რომ ყურძნის მიღება ცვლის გენის ექსპრესიას თავის ტვინში, რაც იწვევს სასარგებლო გავლენას შემეცნებაზე. ექსპერტებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტები ჩატარდა მღრღნელებზე და საჭიროებს დამატებით კვლევას, მიღებული მონაცემები შეიძლება სასარგებლო იყოს სამეცნიერო საზოგადოებისთვის.ბრიტანელმა მეცნიერებმა ახალი კვლევა წარადგინეს. მათ შეისწავლეს ყურძნის გავლენა ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

პირველ კვლევაში ავტორებმა დაადგინეს, რომ დღეში ორი მტევანი ყურძნის ჭამა, ცხიმოვანი დიეტის დაცვასთან ერთად, ხელს უწყობს ღვიძლის ცხიმიანობის შემცირებას და სიცოცხლის

გახანგრძლივებას. გარდა ამისა, დადგინდა, რომ ეს ხილი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს გენეტიკურ ექსპრესიაზე. ყურძენში აღმოჩენილ ნივთიერებებს შეუძლიათ გაზარდონ ანტიოქსიდანტების დონე, რაც შეამცირებს სხეულის ბიოლოგიურ ასაკს დაახლოებით ოთხიდან ხუთ წლამდე.

სხვა კვლევაში, იგივე ავტორებმა დააფიქსირეს, რომ ყურძნის მიღება ცვლის გენის ექსპრესიას თავის ტვინში, რაც იწვევს სასარგებლო გავლენას შემეცნებაზე. ექსპერტებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტები ჩატარდა მღრღნელებზე და საჭიროებს დამატებით კვლევას, მიღებული მონაცემები შეიძლება სასარგებლო იყოს სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

მადლიერება!

ჩვენს გაზეთში ბევრჯერ წამიკითხავს სამადლობელი წერილები დედოფლისწყაროს საავადმყოფოს მედ.პერსონალის მისამართით. ამჯერად მეც ამ მადლიერი პაციენტების რიცხვში ვარ.

მომიწია საავადმყოფოში რამდენიმე დღის გატარება. გაოცებული ვარ იქ არსებული ყურადღებით, სისუფთავით, პერსონალის პროფესიონალიზმით: სახელებისა და გვარების ჩამოთვლა გამიჭირდება, უკლებლივ ყველას - ექიმებს, ექთნებს, სანიტრებს ჩემი დიდი პატივისცემა და მადლობა. იყავით ჯანმრთელად და ბედნიერად თქვენი ოჯახებით ჩვენდა საიმედოდ.

პ.ს ერთი მოკრძალებული თხოვნა მაქვს - კარგი იქნება თუ საავამდყოფოში გამოინახება პატარა კუთხე ხატებისთვის. სიამოვნებით შემოგწირავდით ხატებს.

მადლიერების გრძნობით, ნათელა ბიღიაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 05.09	სამშაბათი 06.09	ოთხშაბათი 07.09	ხუთშაბათი 08.09	პარასკევი 09.09	შაბათი 10.09	კვირა 11.09
დღე	32°	23°	17°	19°	23°	26°	27°
ღამე	16°	13°	12°	13°	13°	14°	14°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა ბორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.